

572
1954/9

საბავშვო
გაზეთი



ღიღას არაუცი, ცურვა ძაღვზე,
 თუხნი, თუნი შაბრი,
 და ზნე, ქოთელი, სწავლია
 ხშირად კახანგია

№ 6 საბავშვოებს ვამ ცხებდალნი პირიპირი, იმნილი
 შინაი პირიპირიპირიპირი, 1954



ახალი წიგნი

ჩვენს ასაკში

ნახვამდის, ჩვენს სკოლა

ჩვენს ქუჩაზე არის ერთი სკოლა,
იმ სკოლაში სწავლობს ბიჭი კოლა.

კოლას გვერდით გაწაფული ხელით
წერს მიკოლა ჩემი მეზობელი.

— მეც საგნებში სულ ხუთები მაქვსო!—
სოსლანს ლაღად ეუბნება შაქრო.

ზაფხულია... ახლა სიცხე არის,
სკოლას სტოვებს ოთხი მეგობარი.

— მე არტეკში მივდივარო ზღვაზე!—
სოსლანის გულს სიხარული ავსებს.

— მე ვოლგაზე ვივლი დასთან ერთად,
სადაც არხმა ზღვები შეაერთა.

ჩავალ მოსკოვს,—ამბობს კოლა ლაღად,—
და პირველად მავზოლეუმს ვნახავ.

ენახავ კრემლთან, საკუთარი თვალით,
ჩვენს დიდ მამებს—ლენინსა და სტალინს.

— მე მივდივარ დედა-დნებრის გაღმა,
ჩემს სამშობლო უკრაინას ვნახავ.

დნებრის გაღმა დავისვენებ ველად!—
თქვა მიკოლამ—ჩემმა მეზობელმა.

ხოლო შაქრო თვალწარმტაცი გზებით
ხრამს ეწევა თავის ანკესებით.

გზა მშვიდობის!—დაულოცე, სკოლავე—
სოსლანს, შაქროს, მიკოლას და კოლას;

რომ ბიჭები ხალისიან გულით
დაუბრუნდნენ სკოლას ჟრიაბულით.

ოსურიდან თარგმნა ალ. გომიანიძე





რეკავ ჯაფარიძე

ნახატები ქ. მახარაძისა

გიას ტოტი

გიას ბაბუას დიდი ეზო ჰქონდა. ეზოში მრავალი ხე იდგა. იდგა ერთი ბებერი ბლის ხეც. ბლის ხის მახლობლად, ეზოს კუთხეში, გიას ბაბუას მარანი ჰქონდა გამართული. კალოობის დროს მარნის სახურავზე მწიფე მსხალი ცვიოდა, რადგან მსხლის ტოტები ქოლგასავით ფარავდნენ მარნის სახურავს. ბებერი ბლის ტოტებიც მარნის სახურავს ელამუნებოდნენ.

ამ ტოტებს შორის გიას ერთი ტოტი ყველაზე უფრო უყვარდა. ეს ტოტი წვრილი და გრძელი იყო, ისეთი გრძე-

ლი, რომ მარნის თავზე ხიდივით იყო გადაებული. ბლობაზე მწყემსი ბიჭები აჰყვებოდნენ კრამიტებს და აქედან კრეფდნენ მწიფე ბალს. მწყემსი ბიჭები უნებურად კრამიტსაც ამტვრევდნენ და ამის გამო გიას ბაბუა ძლიერ ჯავრობდა.

ერთხელ ბაბუამ წალდი გალესა და გადაწყვიტა ის ტოტი მოეჭრა. როცა ბაბუამ წალდი მოიმარჯვა ტოტის მოსაქრელად, გიამ ბებუასთან მიიღრინა და შეეხვეწა:

— ბები, ბებეკო, შენ გენაცვალე, თუ

შენი გია გიყვარს, უთხარი ბაბუს, ნუ მოკრის იმ ტოტს.

— რატომ? — ჰკითხა ბებიამ.

ამ დროს ბაბუამ წალდი მოიქნია და ტოტს შემოაკრა.

ლობის გადაღმა მწყემსი ბიჭები იდგნენ. ისინი სინანულით უყურებდნენ, როგორ ჰკრიდა გიას ბაბუა მწიფე ბლის დახუნძლოვ ტოტს. ბაბუამ ბიჭები დაინახა, წალდი შეაჩერა და დაუძახა:

— აი, ხომ ხედავთ, თქვენი გულისათვის რა კარგ ტოტსა ვკრი. თქვენ რომ ბლის მოსაკრეფად სახურავზე არ ამოდით, და კრამიტს არ მიმტკრევდით, მაშინ ტოტს აღარ მოგვკრიდი!

მწყემს ბიჭებს შერცხვით და ამაზე ვერაფერი უპასუხეს.

— თუ ბალი გიყვართ, თქვენთვის არ მენანება, — განაგრძო ბაბუამ, — შემოდით ეზოში და მოკრიფეთ, რამდენიც გესიამოვნებათ.

მწყემსმა ბიჭებმა იცოდნენ, რომ გია პატარა იყო და ეს ტოტი ძალიან უყვარდა. ნანობდნენ, რომ მათი მსუნაგობისათვის ბაბუა გიას ტოტს უჭრიდა. მაშინ ერთმა მათგანმა, იმან, რომელიც უფროსი იყო, დაუძახა გიას ბაბუს:

— ბაბუა, ნუ მოკრი მაგ ტოტს. ჩვენ აღარ ავალთ მარნის სახურავზე და კრამიტს აღარ დაგიმტკრევთ.

ბაბუამ უღელავებში ჩაიღიმა და დაუძახა ბიჭებს:

— თქვენ დიდი ეშმაკები ხართ. გეტყობათ, ახლაც მატყუებთ.

ბიჭებმა დაიფიცეს, რომ არ ატყუებდნენ. ამაზე ბაბუამ ჰკითხა:

— მაშ, რატომ მეხვეწებით, რომ ტოტი არ მოგვკრა?

— იმიტომ გეხვეწებით, რომ ეგ ტოტი გიას უყვარს. — მიუგეს ბავშვებმა.

— მართლა, ბიჭო? — დაუძახა ბაბუამ გიას.

— გიას იმიტომ უყვარს ეს ტოტი, რომ წვრილი და გრძელი ტოტია. იმაზეც

გიას მეტი ვერაფერია გადის. სხვა რომ ვიღაც ვიდე, წვრილი ტოტი ვერ გაუძლებს და მოტყდება. თანაც რა ბევრი მწიფე ბალი ასხია! — თქვა ისევ იმ მწყემსმა, რომელიც უფროსი იყო.

— ეს ბიჭები მართალს ამბობენ, თუ მატყუებენ? — დაუძახა ბაბუამ გიას.

— მართალს ამბობენ. — უპასუხა გიამ.

მაშინ ბაბუამ გადაწყვიტა, ტოტი აღარ მოეჭრა. ავიდა ბალზე, ბევრი ბალი მოკრიფა და მწყემსებს გაუმასპინძლდა. იმათაც ხელახლა აღუთქვეს, კრამიტს აღარ დაგიმტკრევთო.

გიას სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. კეთილი ბაბუა ამ დღიდან კიდევ უფრო შეუყვარდა. გია ყოველთვის გა-



დიოდა ხოლმე იმ ტოტზე და შეექცეო-
და დაშაქრულ ბაღს.

— არ ჩამოვარდე, ბიჭო! — დაუძახებ-
და ბაბუა.

— არა, ბაბუა, არა! — უპასუხებდა
გია.

დღემ გია ქალაქში წაიყვანა. ერთი
წლის შემდეგ გია პირველად მიაბარეს
სკოლაში. გია მოსწავლე გახდა, მაგრამ
ძლიერ ცელქი მოსწავლე იყო. როცა
მასწავლებელი ვაკეთილის ახსნას დაი-
წუებდა, გია შეეხვეწებოდა: პატივცემუ-
ლო მასწავლებელო, ეზოში გამიშვი,
ცხენობანა უნდა ვითამაშოო. ამაზე ბავშ-
ვებს ეცინებოდათ, მაგრამ მასწავლებე-
ლი გიას არიგებდა:

— სკოლაში ბავშვებმა უნდა ისწავ-
ლონ, ცხენობანა კი მაშინ ითამაშეთ,
როცა ვაკეთილები დამთავრდება.

გია კარგად სწავლობდა, მაგრამ ცელ-
ქი მოსწავლის სახელი მიანც ჰქონდა გა-
ვარდნილი.

ასე გადიოდა წლები.

ერთ ზაფხულს გია ბებიას და ბაბუას
ესტუმრა.

— ბაბუა, დამწიფდა ჩვენი ბალი? —
მატარებელშივე ჰკითხა გიამ ბაბუას.

— დამწიფდა, შვილო! — მიუგო ბა-
ბუამ.

როცა შინ მივიდნენ, გიამ მამა-
ვე მოინდომა ბაღზე ასვლა. აქრუს-
ხეზე, მოძებნა თავისი ტოტი და გავიდა
ზედ, როგორც წინათ იცოდა.

ბალი მართლაც მწიფე იყო, მაგრამ
უფრო მწიფეები ტოტს გარეთა კუნწუ-
ლაზე ესხა. გია ორივე ხელით შემოეჭლო
ტოტს და უფრო შორს გახოხდა. ამ
დროს ტოტმა ლაწანი მოიღო... როცა
გია გონს მოვიდა, ის უკვე მარნის სახუ-
რაზევ ეგდო. ორი კრამიტიც გაეტეხა.
მისი საყვარელი ტოტი მწვანე მოღზე
ჩამოვარდნილიყო.

ტოტის მოტეხის და გიას დაცემის
ხმაზე შეშინებულმა ბაბუამ და ბებიამ
მოირბინეს.

გიას არაფერი სტკენია, მაგრამ ბაბუას
და ბებიას დანახვაზე ტრემლები მოერია,
შერცხვა. ის ხომ პატარაობისას ვადიოდა
ტოტზე, ახლა რატომ მოუტყდა?

— დაგავიწყდა, რომ ახლა დიდი
ხარ? — წყრომით უთხრა ბაბუამ, რო-
გორც კი თავისი შვილიშვილი უვნებ-
ლი დაინახა, — რასაც პატარაობისას შე-
ნი საყვარელი ტოტი გითმენდა, ხედავ,
ახლა აღარ მოგიტომინა!



ზურაბის ჩივილი

ყველა, ყველა მაწუხებს, —
ნუნუ, ბელა, თამრიკო:
— უფრო მეტად ვინ გიყვარს
დედიკო, თუ მამიკო?

ყველას, ყველას ვბასუხობ,
მაგრამ ვერვინ გამიგო:
— უფრო მეტად ვინ მიყვარს?
დედიკო და მამიკო.

— სულ ვგ.არის, რაც არის,
სულ რაც იყო, ვგ იყო?!
მინც, მინც რომელი,
მამიკო, თუ დედიკო?

— რა ვქნა? ამ შეკითხვებმა
ლაშის გული წამიღოს...
მამიკოც და დედიკოც,
დედიკოც და მამიკოც,
დაიკოც!



ნაზი კილასონია

ხოტორა

ზაფხულია,
ცხელია,
ცხელია,
ბუდი ასდის ქალაქს
და დედიკომ ჩენი გელა
წაუყვანა დალაქს.
მაკრატელი აღულუნდა:
კრიჭი,
კრიჭი,
კრიჭი
და ხოტორა დაგვიბრუნდა
თმაქონორა ბიჭი.
დასცინიან რეზო, გია,
ამშვიდებენ დები:
— შემოდგომით ამოგვია
უკეთესი თმები.



ნახატები ზ. შამაჩიაშვილისა

ნიკნემა გელმა

დათომ და თამაზმა ბაღში გაიცივნეს ერთმანეთი. ბავშვებმა გადაწყვიტეს იქვე, გროვად დაყრილ სილაში ეთამაშათ.

ორივემ გვირაბების გაყვანა მოინდომა. საქმეს გულმოდგინედ შეუდგნენ.

თამაზი, უფრო მეტს ლაპარაკობდა, უქმად დასტრიალებდა სილის გროვას, დათოს კი, იდაყვამდე დამკლავებული ხელი სილაში შეეყო და თხრიდა; სულ მალე ისეთი კარგი გვირაბი გათხარა, რომ იქ მყოფი უფროსების ქებაც დაიმახურა.

მოჩენა!" — გაიფიქრა ვახარებულმა თამაზმა და დიდგულად მიმართა:

— მაშ, დაჯექი და მომისმინე!

შემდეგ წიგნი მუხლებზე გადაშალა და ხმამაღლა დაიწყო კითხვა.

— ასეთ პატარას, ვინ ვასწავლა კითხვა? გაოცდა დათოს ბებო.

— თვითონ ვისწავლე! — წარბშეუხრელად უპასუხა თამაზმა.

თამაზის დედას ჩუმად გაეღიმა. დათომ კი ვერ შეიკავა სიცილი, მიიჩინა ბებოსთან და ხმადაბლა უთხრა:



თამაზს გული დასწყდა, აღმაცერად გახედა დათოს გვირაბს. თამაზზე უარი თქვა. გრძელ სკამზე გაბუტულივით ჩამოჯდა. მერე ფერადნახატებიან წიგნს უხალისოდ დაუწყო ფურცვლა.

ნაცნობი წიგნის დანახვზე დათოს სინარულით აუციმიციმდა თვალები. სილაში თამაზს თავი მიანება და თამაზს გვერდით დაუდგა.

— გიყვარს წიგნების კითხვა? — კითხა თამაზმა.

— ძალიან მიყვარს, მაგრამ მე ჯერ არ ვიცი კითხვა.

— აი, ახლა, მეც შემიძლია თავის გა-

— მართალს არ ამბობს, არ დაუჯეპო, ბებო, თამაზმა კითხვა არ იცის.

— როგორ თუ არ იცის? — უფრო მეტად გაოცდა ბებო. — ნახატებით მაინც ვერ იცანი ეს წიგნი? აბა, კარგად მოიგონე! ეს ლექსი გუშინაც წაგიკითხე!

— ვიცანი, ბებო, ვიცანი!.. — ახლა უფრო ხმამაღლა იცინოდა დათო, — მაგრამ ჩემს წიგნში ეს ლექსი მეორე გვერდზე ბოლოვდება, თამაზი კი მას სულ პირველ გვერდზე კითხულობს.

თამაზმა სინანულით დახედა წიგნს, სწრაფად დახურა იგი და აწითლებული სახე დედის კალთაში დამალა.



როგორ ანგარიშობს ახმელი

შევეკითხე ერთხელ ახმელს:
— ანგარიში, თვლა თუ იცი?
გაუნათლა ახმელს სახე:
— ანგარიშში ხუთი მიზის!—

თუმც ახმელის სიტყვა მჯერა,
გამოვცადო, მსურს ამჯერად.
შევეკითხე: — მითხარ სწორი,
რამდენია ორჯერ ორი? —

მან სახელო გადიწია,
თქვა ღიმილით, განა ოხვრით:
— ორჯერ ორი რამდენია?
ორჯერ ორი არის ოთხი!

— ოთხჯერ ოთხი? თქვი შენს გაზრდას!—
და სიჩუმე ჩამოვარდა.



აქ ახმელი ფიქრს მიეცა,
შევეცვალა სახის ფერი:
— ოთხჯერ ოთხი?... ოთხჯერ ოთხი...
ეს იქნება ძლიერ ბევრი!

თარგმანი პ. მნაწილა

ბალის მეგობრები

მელა კახიძე

სარეველა ბალახი
თითქმის აღარ დარჩა.
ისე გაველამაზეთ
პაწაწინა ბაღია.



ბოსტნის კვლებში შეედვიართ,
ნორჩ კირნახულს დაეხარით,
თითქოს ასე ჩურჩულებს
კომბოსტო და კარხალი:

«უცებ თავზე დაგვესხა
უსარგებლო ბალახი,
სარეველა ამდენი
არსად გვექონდა ნანახი.

ყველა შემოგვაცალეთ,—
ხართ სიყეთის მთესავი,
ბალი რაა, ბალახიც
შეგვიყვარებთ მზესავით».



მეფის ბაზარი

სურათი A. შინაბაძის

შ რ თ ე ჭ რ ე ლ ე ბ ი

სამუღრები, ქანდაკები
ჩა ღამასად ვაუშარიავი,
ჩამოიღეს საქაობი,
ვინ ახერებს ამდენ ქათამს!

ჩა კრები ზეს ამდენ წიწვოს,
ჩა ფერი აქვი ამ ღამასესს,
საე ქრული დამკლან,
თუ ზესლები ახიი ფრიასეს!

ბიძელოებ, თამაშობენ,
ზოუხატკი ეხო ფერასს,
ფერად-ფერად ზიტებსივი
გულს მარებს შაიი ფერა.

-ჯა-ჯა-ჯა-ჯა!- შემოსესი,
ღანასეს ფერა ქალი,
შეღამ შაიი შამადე,
შაიკენ შკვირტელად შამაჯალი.

შფრთხილდენ, წაქრიალდენ
ფრთხის ბიჭვი ქალისკენ.
ისი აგერ, ამ ფრთხილდესს
სიყვარული ფრთხის საკესკ.

-ჯა-ჯა-ჯა-ჯა! ვაიბარვი!-
ღელღელს და ზელს არ აკლენ.
ფრთხილდესი წიწვლები
ქრიალდესს კენკენ მარცვლებს.

-ქა-ქა-ქა-ქა! გმდ-ღობი,
გმდ-ღობი-ღობი-ღობი!
ფრთხილდენ, კენკენ წიწვოს,
თიქრის ფრთხილდენ, ჩა წიწვლის
ამ კეთილი ჯალის ვაჟი.

ჩა შამაწენი, ჩა ფრთხილობი
ამ ზორებს, ამ ღამასესს,
საე ქრული დამკლან,
თუ ზესლები ახიი ფრიასეს!

მესამე პრემია



— ხომ იცი, შეჯიბრებისათვის ვემზადებით! — გააფრთხილა შალვამ, მაგრამ შოთა გაჯიუტდა, მეკარეს წინ დაუდგა და ხელს უშლიდა თამაშში. მაშინ გაჯავრებულმა შალვამ გვერდი გაჰკრა შოთას და განზე გასწია.

ბავშვებმა თამაში განაგრძეს. გაბუტული შოთა კი შორიანხლოს იდგა და იცრემლებოდა; მერე რალაც წაიბუტბუტა და სახლისაკენ წავიდა.

მალე შრომის ოთახში ამოჰყო თავი. ოთახში არაფერი იყო. ფრთხილი ნაბიჯით მიუახლოვდა სადურგლო დაზვას, რომელზედაც გემის, ელმავლის და თვითმფრინავის მოდელები, პაწია სასკოლო დაფა და ცისფრად შეღებილი პაწაწინა სკამები ეწყო. ეს ნივთები ბავშვების ხელით იყო გაკეთებული და მათ შორის განსაკუთრებით საქართველოს რუკა გამოირჩეოდა.

ამ რუკაზე მუქ-ყავისფრად მიიმართებოდა კავასიონის მთაგრეხილი; შავი ზღვა შუა ადგილას ლურჯად ჩანდა, ნაპირებთან კი ცისფრად. რაიონები ზოგან მწვანედ, ზოგან წითლად, ზოგან ღი-მონისფრად იყო აფერადებული და ასე ყველა რაიონს თავისი განმასხვავებელი ფერი და სილამაზე ჰქონდა. როცა რუკის უკან, ჩარჩოში მოთავსებულ ელნათურის ჩართავდნენ, სხვადასხვა ფერად

საბავშვო სახლის ეზოში ბავშვების ქრამული ისმოდა. ერთმა აღსაზრდელმა, შალვამ ბურთი შეატრიალა და დაიკვირა:

— აბა, დავიწყეთ.

პირველკლასელმა შოთამ შალვასთან მიიბრინა და უთხრა:

— მე მეკარე ვიქნები.

შალვამ ღიმილით გახედა მას და უპასუხა:

— შენ პატარა ხარ, ვერ დაიქვრ ბურთს.

— როგორ ვერ დავიქვრ, აბა, ნახეთ! — თქვა შოთამ და მეკარის ადგილი დაიკავა.

ანთებოდა რაიონული ცენტრები, ხოლო დედაქალაქი თბილისი წითლად აბრჭყვიალდებოდა.

შოთა სწორედ ამ რუკასთან შეჩერდა. დაიხარა, თუნუქის ქილიდან მოზრდილი ფუნჯი აიღო, რუკას გადაუსვგადმოუსვა და ნაცრისფერი საღებავით სულ გადათხუნა.

— არ მათამაშე ხომ? მცემე ხომ?.. ესეც შენ!— წაიჩურჩულა გულაჩუყებულმა შოთამ და გარეთ გაიპარა.

ამ დროს ეზოში ხელმძღვანელი, ძია გიორგი შემოვიდა, საათს დახედა და უფროს ბავშვებს მიმართა:

— აბა, უკვე დროა, შევახვიოთ თქვენი ნამუშევრები და გამოფენაზე წავიღოთ.

ბავშვებმა შეწყვიტეს თამაში და შრომის ოთახისაკენ გაეშურნენ. გიორგიც მათ გაჰყვა.

შალვამ დაინახა თუ არა გადათხუნული რუკა, ელდა ეცა. გულდაწყვეტილი ერთ ხანს ჩუმად იღვა. მერე წაილულლულა:

— ეს ვინ გადათხუნა? მთელი თვე ვმუშაობდი და ერთ წუთში სულ გაუფუჭებიათ, რა ვუყო ახლა?!

ბავშვებმა შალვას ირგვლივ მოიყა-

რეს თავი. გაკვირვებით უცქეროდნენ რუკას. ძია გიორგიც გამშრალი იდგა. იგი სათითაოდ აკვირდებოდა ბავშვებს, მაგრამ ვერც ერთის თვლებში ვერ ამოიკითხა დანაშაული. შოთა ამ დროს ეზოში თამაშობდა თავის ტოლებთან. არაგის მოსვლითა აზრად, თუ შოთა ამ დანაშაულს ჩაიდენდა და არც არაფერი გამოუქვითხავთ მისთვის.

— რაც მოხდა, მოხდა!— თქვა ბოლოს გიორგიმ, — ვინც რუკა წაახდინა, ხომ გავიგებთ. ახლა მალე შეახვიეთ თქვენი ნამუშევრები და წავიღოთ. შალვა, შენ კი უნდა ეცადო და აღადგინო ეს რუკა. დღის ბოლომდე თუ დამთავრებ, მაშინვე წავიღებთ, მინც მოესწრება. — დაიძვინა გიორგიმ და ოთახიდან გავიდა.

ეზოში მოათამაშე შოთამ ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში მიმავალ ბავშვებში შალვა რომ ვერ დაინახა, შეკრთა და მაშინვე შრომის ოთახისაკენ გაექანა. ოთახის ღია კარებიდან რუკასთან მდგარ დაღონებულ შალვას მოჰკრა თვალი. შოთა შეყუყმანდა, მერე რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და კარებთან აიტუხა.

შალვამ კუთხეში მიღგმული საღებავების ქილები გასინჯა, მერე მოტრიალდა და უიმედოდ ჩაიქნია ხელი.

— საღებავებიც გათავებულა, მხო-



ლოდ ორი თუ სამი ფერი არის. როდის
საღებავებს ვიყიდით, მერე მუშაობას შე-
ვუდგები... აბა, როდისღა მოვასწრებ? —
სველიანდ ჩაილაპარაკა მან და ამოი-
ოხრა.

შოთას გული აუჩუყდა: „არ მეგონა,
თუ გამოფენაზე მიჰქონდათ ეს ნამუშევ-
რები, თორემ როგორ დავაზიანებდიო“ —
ფიქრობდა, მაგრამ ეს სინანული ოდნე-
ვადაც ვერ ამშვიდებდა. აითრია ფეხები,
წელმოწყვეტილი შევიდა ოთახში და
შალვას უთხრა:

- მე მოგიტან საღებავებს.
 - მართლა?!
 - ამ წუთში მოგიტან. — უთხრა და
გარეთ გავარდა.
- შალვა შოთამ საღებავები მოარბენინა.
შალვამ დაექვებით ჰკითხა:
- ვინ მოგვცა?
 - მეზობლად რომ ცხოვრობს ჩემი
ამხანავი ნიკო, იმას გამოვართვი.

შალვა მუშაობას შეუდგა. შოთა თავს
დასტრიალებდა, ეხმარებოდა, ხან ჯამით

წყალი მოჰქონდა, ხან ფუნჯებს
ხავდა.

დღის ბოლოს რუკა მზად იყო, მაგრამ
მას პირვანდელი სიფაქიზე და სიზუსტე
ალარ ჰქონდა.

შალვამ და ძია გიორგიმ რუკა ნორჩ
ტექნიკოსთა სადგურში წაიღეს.

სალამო ხანი იყო. საბავშვო სახლის
დარბაზში მომღიმარე შალვა შევიდა.

ბავშვები გარს შემოგვივიწყნენ და გა-
მარჯვება მიულოცეს.

— რომ არ გადავთხუპნათ, ვინ იცის,
იქნებ პირველი პრემიაც მიმელო, ახლა
კი მესამე პრემია მომაკუთვნეს. — ნაღ-
ვლიანი ღიმილით თქვა შალვამ და ჯილ-
დოდ მიღებული ფოტოაპარატი და ჯი-
ბის ელექტროსანათი მაგიდაზე დააწყო.
მერე ირგვლივ მიმოიხედა და ბავშვებში
მდგარი შოთა რომ დაინახა, ხელი დაუქ-
ნია. შოთა მივიდა. შალვამ ელექტრო-
სანათი აიღო, შოთას გაუწოდა და
უთხრა:

— ეს ჯიბის სანათი შენი საჩუქარი
იყოს, შენც ხომ დამეხმარე!

შოთამ ელექტროსანათი გამოართვა,
ძალიან მოეწონა, მაგრამ უმაღლ მაგიდაზე
დალა და თავაქიხდრულმა წაიბუტ-
ბუტა:

— არ მინდა!..

— მაშ, ფოტოაპარატს გაჩუქებ. —
უთხრა შალვამ და ფოტოაპარატი გაუ-
წოდა.

— არა, არც ეს მინდა!.. მე საჩუქარი
არ მეკუთვნის. — წასურჩულა შოთამ,
გული ყელში მოებჯინა და ლოყები
აუწითლდა.

— რას ამბობ, ბიჭო, რატომ არ გე-
კუთვნის?

— იმიტომ... იმიტომ რომ... — მეტი
ვეღარ მოახერხა შოთამ, ენა დაება.

— ჰო, თქვი, რა იყო?

— მე გადავთხუპნე შენი რუკა! —
ამოილულლულა შოთამ და თვალები
ცრემლებით ავესო.

შალვას ძლიერ შეებრაღა შოთა,
რომელიც თავის შეცდომაზე გულწრფე-
ლად წუხდა. მიუახლოვდა, ხელი მოხვია
და უთხრა:

— რაკი ასეა, მიპატიებია!



პირველი პირი

ზაფხული მიიწურა. როგორც იქნა აგრილდა და ყველაფერს დაეტყო გამოცხლება: ხეებმა ნახევრადდამქანარი ფოთლები გაისწორეს. კოლმეურნეები მთელ ღღეს შინ აღარ ბრუნდებიან, დიდიდან საღამომდის ყანებში, ვენახებსა და ბაღებში არიან.

შინ აღარც მოხუც პეტრეს დაუდგა გული. ეზოში გამოვიდა, მსხალზე პატარა ტოტი მოტეხა, სათვალე გაიკეთა და გულდასმით დააკვირა.

— ოჰო, კარგია! — თქვა პეტრემ თავისთვის. შემდეგ ვაშლის ტოტს დახედა, გადატეხილ ადგილზე ცვარივით პატარა-პატარა წვეთები შენიშნა, — ეს კიდევ უკეთესი! ნამდვილად მყნობის დროა.

პეტრე სახლში შევიდა, სანამყენვანა გამოიტანა და აჩქარებული ნაბიჯით გასწია კოლმეურნეობის ვენახისაკენ. პაპას უმცროსი შვილიშვილი გიგლაც აედევნა. ვენახის ნაპირზე რომ მიდიოდნენ, პეტრე უცებ პანტასთან შეჩერდა.

— მშვენიერი საძირვა ეს პანტა, — უთხრა პეტრემ შვილიშვილს.

გიგლა სულგანაბული შეჰყურებდა პაპას.

პეტრემ ფრთხილად შეაქრა პატარა ტოტები პანტას, გულდასმით ააყოლნაყოლა თვალი საძირვს და ბოლოს ერთ ადგილზე დაადო თითი:

— აქ შეიძლება დამყნობა!

გიგლამ საკვირტელ წამოღებული ნორჩი ტოტი მიაწოდა პაპას.

ამ პატარა ტოტზე პეტრემ ჯერ ერთ-ერთ სცადა კვირტის აღება, მაგრამ ნორჩი მცენარის კანი გაიხა.

— ეს აღარ ვარგა! — თქვა პეტრემ და გადაადგო ტოტი. გიგლა კვლავ შე-



ჰყურებდა. პეტრე ახლა მეორე კვირტის აღებას შეუდგა. ხელი ოდნავ უკანკალეებდა და კვირტის წესიერად აღება უჭირდა. მეორე კვირტიც გაუფუჭდა. ბოლოს გიგლამ უთხრა:

— პაპა, მომეცი, იქნებ მე ავაძროვ კანი.

— შენ ჯერ ისწავლე და მერე გააკეთე!

გიგლა გაჩუმდა.

პეტრემ როგორც იქნა აიღო სწორედ ისეთი კვირტი, როგორიც უნდოდა.

— ბებერი ხარისა რქანიც კი ხნავენო.— სიხარულით წამოიძახა მოხუცმა და ენაზე დაიდო პატარა კალმის მსგავსი კანი. შემდეგ საძირის კანი გაკრა.

— ეგ ხომ რუსული ასო „ტ“ არის?! — შესძახა გიგლამ.

— შენ რაც გინდა დაარქვი, მხოლოდ ისე ფრთხილად უნდა გააკეთო, რომ მერქანი არ გაიქრას.

ამ ქრილში პეტრემ წინასწარვე მომზადებული კვირტი ჩაუშვა.

— ახლა რაღა უნდა? — შეეკითხა გიგლა.

* * *
ორიოდე დღის შემდეგ, როცა პაპა პეტრე სხვაგან იყო წასული, გიგლამ პაპას დანა აიღო და სამეწობად წავიდა. ბებერი იარა, ეძება და როგორც იქნა, მონახა ერთი საძირე. როგორც პაპამ გააკეთა, შეილიშვილიც სწორედ ისე მოიქცა.

* * *
დაღვა გაზაფხული. მცენარეებმა კვლავ გაიღვიძეს, კვირტები დაუმსხვილდათ, გიგლას გასულ წელს დამყნობი ტოტები გაახსენდა.
— პაპა, სულ რომ ახალ-ახალ ნამყენს



— შეხვევა და მეტი არაფერი. — უპასუხა პაპამ და თოკისებური, გამხმარი მცენარის კანი შემოახვია.

— ეს ხომ მეც შემოიძლია გავაკეთო! — თამამად უთხრა გიგლამ.

— აბა, რა გეგონა?! ადამიანი რასაც მოიწადინებს ყველაფერს ისწავლის.

პეტრემ ამ დღეს რამდენიმე მსხალი და ვაშლი დაამყნო.

აკეთებ, აბა, ენახოთ, იხარა თუ არა შარშანდღელმა ნამყენმა.

— რა ნახვა უნდა, იხარებდა, ახლა არა მცალია. — უპასუხა პაპამ.

— არა, პაპა! თუ გიყვარვარ, წამოდი, ენახოთ! — შეეხვეწა შეილიშვილი. მოხუცი გაჰყვა, როგორ გაუკვირდა პეტრეს, როცა მისი ნამყენებიდან მხოლოდ ორიოდე აღმოჩნდა გახარებული, და-

ნარჩენი კი გამხმარი-
ყო. დალონდა პეტრე.

— ეჰ, მოვხუციდი!
თვალეები აღარ მიქ-
რის! — სინანულით თქვა
მან.

— აბა, ახლა ჩემი
ნამუყენი ვნახოთ! — წა-
მოიძახა გიგლამ.

პეტრემ გაკვირვე-
ბით შეხედა.

— შენ რა ნამუყენი
გაქვს, ბიჭო?

— მაქვს, როგორ
არა მაქვს!

— ბიჭო, ჩემმა დამ-
ყნობილმაც ძლივს იხა-
რა და შენი რას იხა-
რებდა?! — თქვა პაპამ,
მაგრამ მაინც გაჰყვა
შვილიშვილს.

გიგლა წინ მილიო-
და, თავის ნამუყენთან
კვლავ გასძახა პაპას:

— მოდი, პაპა, ნახე!



რომ მიირბინა

პეტრე იმ დღეს ძლიერ გახარებული
იყო. ასეთ კარგ გუნებაზე დიდი ხანია
აღარავის ენახა.

— შენ ისე მემანსი
ნამდვილად მაჯობე და
ეგ არის! — ღიმილით
უთხრა პაპამ.

მათ სიხარულს საზ-
ღვარი არა ჰქონდა,
როცა გასაშლელად
მომზადებული პირვე-
ლი კვირტი ნახეს.

— რას იტყვი, პა-
პაჩემო, როგორია? —
ეკითხებოდა გიგლა.

— კარგია, მართ-
ლაც კარგია, მაგრამ
შე ეშმაკო, რატომ
აქამდე არ მოთხარი?

— მე მეგონა, ვერ
ინარებდა... ახლა კი
ჩვენი სკოლის ნაკვეთ-
ზეც გავაკეთებ ასეთ
ნამუყენებს და ჩემს ამხა-
ნაგებებსაც ვასწავლი.

— ძალიან კარგი
იქნება. — შეაქო პაპამ;

ბ ი ჭ ო , გ ო გ ი

ბალა უორჩხიძე

თუთა-ბალის მწიფობაა,
ბიჭო, გოგი, ბებო გელის.
ვიცი, ძლიერ გენატრება
ჩვენი წყაროც, ბაღიც, ველიც.

აღუბლებიც ისე დატკბა,
რომ იხილავ, გაოცდები.
ჩქარა, ჩქარა, დაამთავრე
საზაფხულო გამოცდები.

ოლონდ, ბიჭო, შენთან ერთად
ჩამომგვარეთ აქ მანანაც.

ის ჯერ კიდევ პატარაა
და თუთის ქვეშ ვეტყვი ნანას.

ვეტყვი: როგორ გამოვზარდე
მისთვის ჭრელი ჭუჭულები,
შენ კი ბაღში დაუკრიფე
ბლის წითელი კუნწულები.

წელს ისეთი ბაღებია,
რომ იხილავ, გაოცდები.
ჩქარა, ჩქარა, დაამთავრე
ბიჭო, გოგი, გამოცდები!





ქლიშა ყივიანი

ნახატები პლ. ჰეშხეპიძის

ძილისგულა

ზღაპარი

იყო ერთი ძილისგულა. დღე და ღამე ეძინა, მხოლოდ სადილობის დროს თუ გამოაღვიძებდა ხოლმე. როდესაც ჰკამდა, დაუძლურებული მოხუცი დიდდდა სულ თვალეში უყურებდა, უცებ არ ჩაეძინოს და ლუკმამ არ დაახრჩოსო. თუ რომელიმე მეზობელი ხის ნერგს დარგავდა, ძილისგულას უხაროდა, მაღე მის ჩრდილშიაც დავიძინებო. ერთი სიტყვით, ისე უყვარდა ძილი, რომ სიზმარშიაც ფეხისწვერებზე დადიოდა,—თავისი თავი არ გაეღვიძებინა.

ძილისგულას ვერც მამლის ყვილი აღვიძებდა, ვერც მალვიძარა საათის წკრიალი. ერთადერთი მისი მტერი მზე იყო; ამოვიდოდა თუ არა დილით, იმ წუთშივე სარკმელში შეანათებდა და ძილისგულას თვალებს აუჭრელებდა. ბუზლუნით წამოდგებოდა ძილისგულა, საწოლქვეშ შეძვრებოდა და იქ განაგრძობდა ძილს.

გაზაფხული წვიმებით დაიწყო. ცხრა დღე და ღამე წვიმდა და ძილისგულას

ცხრა დღე და ღამე ეძინა. მეათე დღეს კი მზემ მხოლოდ შუადღისას გაფანტა ღრუბლები და მიწა ოდნავ გააშრო.

ძილისგულა შიმშილმა გამოაღვიძა. დიდხანს ჰკამდა. მერე ხალიჩას ხელი დაავლო, ეზოში გავიდა, მაღალი ხის ჩრდილში წამოწვა და თვალეები მილულა, მაგრამ ჩაძინება ვერ მოასწრო, რომ აივნიდან დიდედამ გადმოსძახა:

— შვილო, ეზოში წვიმის გუბე დამდგარა, წყალს გზა მიეცი, თორემ შიგწიწილები დაიხრჩვებიან.

უქმაყოფილო ძილისგულამ თავი წამოსწია:

— აბა, სად არის წვიმის გუბე? — ჰკითხა მან დიდელას.

— ლობესთან. — უპასუხა დიდედამ.

— უჰ, ახლა ლობესთან რა მიმიყვანს, ძლიერ შორს არის, მე კი მეძინება. — თქვა ძილისგულამ და ისევ მოხუტა თვალეები.

„ეს რა უქნარა შვილიშვილი მეზრდე-

ბა“ — გაიფიქრა მოხუცმა და ოთახში
ძლივს შევლასლასდა.

ძილისგულას უკმეხი პასუხი მხესაც
შემოესმა: — დახეთ ამ უქნარას, რაებს
უბედავს უფროსებს; ერთი დამაცადოს.
რა სეირიც ვუჩვენო — თქვა მზემ და გა-
დაიხარა დასავლეთისაკენ. ხის ჩრდილ-
მაც აღვილი გადაინაცვლა და მზემ
თვალეში ჩააჭყიტა მძინარას.

ძილისგულა ზანტად წამოდგა, ხალიჩა
ჩრდილში მიათრია და ისევ დაწვა. „ეგ ვერ
გიშველისო“ — გაიფიქრა მზემ და კვლავ
გადაიხარა. ისევ მოინაცვლა ხის ჩრდილ-
მა აღვილი, ისევ აუჭრელა მზის სხი-
ვებმა თვალეში ძილისგულას. ხელმეორედ
წამოდგა, ხელმეორედ მიათრია ხალიჩა
ჩრდილში და ისევ წამოწვა. მაგრამ მზე
არ ისვენებდა: გადაიხრებოდა დასავლეთ-
თისაკენ და ძილისგულაც თავისი ხალი-
ჩით ჩრდილს მიჰყვებოდა.

ბოლოს ხის ჩრდილმა ღობეს მიაღ-
წია, — სწორედ იმ აღვილას, სადაც წვი-
მის გუბე იყო. ძილისგულა ვერც კი ამჩ-
ნევდა, რომ უკვე გუბის პირას იწვა. ამ
დროს აივანზე დიდდა გადმოდგა და
ძილისგულას გადმოსძახა:



— შვილო, ეზოში წვიმის გუბე დამ-
დგარა, წყალს გზა მიეცი, თორემ შიგ
წიწილები დაიხრჩვებიან.

ძილისგულამ თავი წამოსწია.

— აბა, სად არის წვიმის გუბე? —
ჰკითხა მან დიდელას.

— ღობესთან. — უპასუხა დიდელამ.

— უჰ, ახლა ღობესთან რა მიმიყვანს,
ძლიერ შორს არის, მე კი მეძინება. —
თქვა ძილისგულამ, მხარი მოინაცვლა,
რომ უფრო კარგად მოკალათებულყო
და სწორედ გუბეში კი მოადინა ტყა-
პანი.

— უი, შვილიშვილი დამეხრჩო! —
წამოიყვირა დიდელამ.

— სულ ერთია,
ძილი დაახრჩობს თუ
წყალი! — წარმოსთქვა
მზემ და ხმამალა გაი-
ცინა.

ძილისგულა გადარ-
ჩა, მაგრამ იმ დღიდან
ძლიერ ეშინოდა წყლი-
სა. თუ შუადღისას
ჩაეძინებოდა, ბებია
თავზე წყალს გადაას-
ხამდა და ისიც დამ-
ფრთხალი წამოხტებო-
და; გუბეში ხომ არ ჩავ-
ვარდიო.

ამ შემთხვევის შემ-
დეგ ყველა ძილისგუ-
ლას ეშინია წყლისა.



698/25

5.18/24.

ГЕОРГИИ В.КА

საბავშვო ჟურნალი



ღაწიმ ხარაძე

ხმატი შ. ხხალაძისა

საყვედური დედოფალას

არც კითხულობ, რად გემღური,—
ტუნს ღიმილი სულ ვიფარავს.
უნდა გითხრა საყვედური,
თვალბუქია დედოფალავ!
მირჩევნიხარ ყველა კარგებს
და სათუთად გივლი მუღამ,
სიზარმაცე არას გარგებს,
ყველა მისთვის გაგებუტა.
საყვედური მაქვს გულწრფელი,

შემომხედე აბა კარგად.
ხომ გავზრდილვარ, შარშანდელი
ღამიშოკლდა თეთრი კბა.
მასწავლიან ანბანს დები,
წავიკითხავ მალე წიგნებს,
შენ კი, რაა! არ იზრდები.
აღარც სწავლა არ გსურს იქნებ.
ზიხარ უქმად, წევხარ უქმად,—
ვინ გაჭამოს ასე ლუკმა?..

უღის მზატრობა გუთუნის გრ. ჩირიანაშვილს გამოსცემის ოცდამეშვიდე წელი წასი 2 მან

რედაქტორი თხებ ნინეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, შაყვალა შრეველაშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. შარგანი, ი. ხიზარულაძე, ნ. უნაქოშვილი შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი)

Д. И. Л. А.—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 6, Июнь, 1964 г. Тбилиси, Лезинка 14.
საბოტეპო. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლეონის 14. მ ხარი. ტელ. 3-37-35 კაბოში, მუც. № 163 სტამბის მუც. № 5621/1242
ტარიკი 18.000 უფ. ზეგბი ანკობილა პოლიგრაფკომბინატ კოუნსტრუქტორის სტამბაში, ვერად დაბეჭდილი რუხებს
სისტემის მანქანაზე „ხარია ვოხტოკა“ სტამბაში.